დანართი №1
დამტკიცებულია
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლებისა და
კულტურის მინისტრის
2018 წლის **06** თებერვლის
№ **60/**ძ ბრძანებით

აფხაზეთის კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის
პროგრამის **(**პროგრამის კოდი **06 10)** ქვეპროგრამა **-** ფოტოკონკურსი "აფხაზეთის
ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების**" (06 10 09)**
დებულება

1. მიზნები და ამოცანები

ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განსაკუთრებით მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია ისტორიულ არქიტექტურული ძეგლები, არსებობს რეალური საფრთხე, რომ მათი დიდი ნაწილი განადგურდეს რესტავრირების პერსპექტივის გარეშე. რაც იწვევს არა მარტო ქართული მხარის, არამედ აფხაზების გარკვეული ნაწილისა და საერთაშორისო თანამეგობრობის აღშფოთებას. გამომდინარე აქედან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ (შემდგომში-სამინისტრო) კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა თავისი საქმიანობის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად აქცია.
სამინისტროს ქვეპროგრამა - ფოტოკონკურსი "აფხაზეთის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები" ამ სტრატეგიის ნაწილია და მიმართულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დარჩენილი კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი ფოტომასალის მოპოვებისაკენ (ეკლესია, სასახლე, ხიდი, ციხე, კოშკი, საინჟინრო ნაგებობები და სხვა, ან მათი ნაშთები), რათა ახალგაზრდებს კიდევ ერთხელ შევახსენოთ ის ისტორიულ-არქიტექტურული მემკვიდრეობა რომლებსაც ჩვენი, ქართველებისა და აფხაზების წინაპრები ერთობლივად ქმნიდნენ, ზრუნავდნენ მათზე და თუ საჭიროება მოითხოვდა სიცოცხლესაც სწირავდნენ მათ შესანარჩუნებლად.

2. წარმოდგენილი ქვეპროგრამა მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

1. ფოტოკონკურსში მონაწილეებს შორის გამარჯვებულის გამოსავლენად კომისიის შექმნა;
2. ფოტოკონკურსის გამოცხადება;
3. მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია;
4. კონკურსის ფარგლებში მიღებული ფოტომასალის წარდგენა კომისიისათვის და გამარჯვებულების გამოვლენა;
5. გამარჯვებულთა დაჯილდოება;

3. ფოტოკონკურსში მონაწილეებს შორის გამარჯვებულის გამოსავლენად
კომისიის შექმნა

სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახური, მინისტრს დასამტკიცემლად წარუდგენს კომისიის წევრობის კანდიდატებს. კომისიის წევრების ვინაობა კონკურსის დასრულებამდე კონფიდენციალურია, კომისია შედგება 5 წევრისაგან, მათ შორის კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

4. ფოტოკონკურსის გამოცხადება

ფოტოკონკურსის დებულება და კონკურსანტის სარეგისტრაციო ანკეტის ფორმა გამოქვეყნდება შემდეგი საინფორმაციო საშუალებებით: სამინისტროს ვებ-გვერდი (www.meca.gov.ge), სამინისტროს მიერ შექმნილ „აფხაზეთის კულტურა და კულტურული მემკვიდრეობის“ ვებ-გვერდი (www.abculture.ge), სამინისტროს ფეისბუქ-გვერდზე, ყოველკვარტალური პერიოდული გამოცემა გაზ. ,,ჩვენი აფხაზეთი“ და სხვა საინფორმაციო საშუალებები.

5. მონაწილეობა და მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია

1. ფოტოკონკურსში მონაწილეობა არ არის შეზღუდული მოქალაქეობითა და ასაკით;
2. მონაწილეობის მსურველმა უნდა შეავსოს მონაწილეობის ანკეტა და სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით გადმოაგზავნოს შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: abculture@meca.gov.ge;
3. შესაძლებელია ასევე ანკეტის შევსება და ჩაბარება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N68, 4 სართული;
4. საკონკურსო ფოტომასალისა და სხვა დამატებითი ინფორმაციის გადმოგზავნა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე:abculture@meca.gov.ge.
5. საკონკურსო ფოტომასალისა და სხვა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა შესაძლებელია ასევე პირადად, ან კონკურსანტის წარმომადგენლის მიერ, CD დისკზე ჩაწერილი სახით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N68, 4 სართული.

შენიშვნა:

მონაწილეობის მსურველის მოთხოვნის შემთხვევაში, მისი პირადი მონაცემები არ გასაჯაროვდება. ხოლო გამარჯვების შემთხვევაში, პრიზი გადაეცემა მასთან შეთანხმებული პირობების გათვალისწინებით. კონკურსანტთა რეგისტრაციისა და საკონკურსო ფოტომასალის წარმოდგენის ბოლო თარიღია 2018 წლის 20 ნოემბერი.

6. აუცილებელი მოთხოვნები

1. თითოეულ ნაგებობაზე ფოტოების გადაღება უნდა მოხდეს ისე, რომ სრულად იყოს წარმოდგენილი ნაგებობის ერთიანი სახე და დეტალები (თითოეულ ნაგებობაზე სულ მცირე 20 ფოტო, ფოტოს ხარისხი მინიმუმ 10 მეგა-პიქსელი).
2. ნაგებობის ფასადი ფოტოზე უნდა იყოს დაფიქსირებული ყოველი მხრიდან (სამხრეთი, ჩრდილოეთი, დასავლეთი და აღმოსავლეთი) ფოტო უნდა იყოს გადაღებული ისე, რომ ნაგებობის გარე ხედი სრულად ჩანდეს.(თუ ნაგებობა დიდია და მთლიანი ფასადი არ ეტევა კადრში, უნდა იყოს გადაღებული რამდენიმე ნაწილად). ასევე უნდა იქნას გადაღებული ნაგებობა სხვადასხვა რაკურსიდან ისე, რომ ორი ფასადი ერთდროულად ჩანდეს.
3. ნაგებობის ინტერიერში უნდა იქნას გადაღებული ყველა მხარე. ასევე უნდა იქნას გადაღებული მინაშენი (არსებობის შემთხვევაში).
4. უნდა დაფიქსირდეს ნაგებობის ყოველი დეტალი - ჩუქურთმა, ორნამენტი, სარკმლის მოჩარჩოება, კარის მოჩარჩოება, ნაგებობის კარნიზი, კამარა, პილასტრები (კამარის საბჯენი თაღის საყრდენი) და ა.შ. თუ ამგვარი რამ შემორჩენილია.

5. თითოეულ ნაგებობაზე ფოტომასალასელექტრონული ან ამობეჭდილი სახით უნდა ახლდეს შემდეგი ტექსტური ინფორმაცია: ა) ნაგებობის სახელწოდება ან სახელწოდება რომლითაც მოსახლეობაშია ცნობილი, ბ) მდებარეობის მოკლე აღწერა (მანძილი და მიმართულება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან); გ) კონკურსანტის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე სხვა დამატებითი ინფორმაცია.

7. კონკურსის ფარგლებში მიღებული ფოტომასალის წარდგენა კომისიისათვის და გამარჯვებულების გამოვლენა

კომისია უფლებამოსილია გამოავლინოს 3 გამარჯვებული, რომელთა მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა ყველაზე მეტად აკმაყოფილებს ფოტოკონკურსის მოთხოვნებს.
უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტს, რომელიც წარმოადგენს რაოდენობრივად მეტ, ნაკლებად ცნობილ არქიტექტურული ნაგებობების ამსახველ ფოტომასალას.
კომისია იტოვებს უფლებას დებულებასთან შეუსაბამო მასალის წარმოდგენის შემთხვევაში არ გამოავლინოს გამარჯვებულთა საჭირო რაოდენობა.

8. პრიზი

1. კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართება 2018 წლის დეკემბრის თვეში.
2. ფოტოკონკურსის 3 გამარჯვებული დაჯილდოვდება ტელეფონებით.
3. კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცემა კონკურსში მონაწილეობის მოწმობა.